**11**
**ივლისი**
შაბათი,
1961 წ.
№ 96 (1732)
გამოცემის მე-17 წელი
ფასი 3 კაპ.

სურათზე: პროფკავშირების III რესპუბლიკური სპარტაკიადის გახსნის ალლუმი.
ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ანგარიში იხ. მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 ივლისისათვის

I ქვეჯგუფი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 13 | 11 | 1 | 1 | 28:11 | 23 |
| ს კ ა (როსტოვი) | 14 | 8 | 2 | 4 | 31:14 | 18 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 15 | 6 | 6 | 3 | 23:21 | 18 |
| „დინამო" (თბილისი) | 14 | 7 | 3 | 4 | 20:11 | 17 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 14 | 6 | 5 | 3 | 13:10 | 17 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 14 | 4 | 7 | 3 | 14:13 | 15 |
| „შახტიორი" (სტალინო) | 15 | 5 | 5 | 5 | 14:15 | 15 |
| „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი) | 14 | 4 | 2 | 8 | 13:20 | 10 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 15 | 3 | 4 | 8 | 13:21 | 10 |
| „დაუგავა" (რიგა) | 15 | 2 | 4 | 9 | 16:31 | 8 |
| „სპარტაკი" (ვილნიუსი) | 15 | 1 | 5 | 9 | 13:31 | 7 |

* * *

**მოსკოვი.** 9 ივლისი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ტორპედო" (მოსკოვი)-„სპარტაკი" (ვილნიუსი).

მატჩი მოიგო „ტორპედომ"—3:1.

## ფეხბურთი

**ტირასპოლი.** 9 ივლისი. აქ გაიმართა მორიგი შეხვედრა სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა I ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „პიშჩევიკმა" მიიღო თბილისის „ლოკომოტივი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

**კიროვაკანი.** ამავე დღეს კიროვაკანში თამაშობდნენ ადგილობრივი „ლორი" და სოხუმის „რიწა". გამარჯვება მოიპოვეს კიროვაკანელებმა ანგარიშით 3:0.

**ლენინაკანი.** I ზონის კიდევ ერთი მატჩი შედგა ლენინაკანში. თამაშობდნენ „შირაქი" (ლენინაკანი) და „დინამო" (ბათუმი). მატჩი დამთავრდა ანგარიშით 2:1 „შირაქის" სასარგებლოდ.

**კიროვაბადი.** II ზონის ლიდერი — ქუთაისის „ტორპედო" კიროვაბადში შეხვდა ადგილობრივ „ტექსტილშჩიკს".

მატჩის შედეგია 2:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

# მოზარდთა შეჯიბრება

გორელი ფეხბურთის მოყვარულნი დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა კოლექტივებთან არსებულ მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო ზონალურ შეჯიბრებას.

დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა ქუთაისის „ტორპედოსა" და ერევნის „ნაირის" შეხვედრა. ერევნელებმა მატჩი იერიშით დაიწყეს, მაგრამ მცირე ხანს შემდეგ ინიციატივამ ტორპედოელთა მხარეს გადაინაცვლა და მათი მოწინააღმდეგე იძულებული იყო ხანგრძლივ დაცვაზე გადასულიყო. ქუთაისელები თამაშობდნენ გაშლილი ფრონტით და ცდილობდნენ გამოეყვანათ დაცვის ღრმა ზონიდან „ნაირის" მცველები, რომელთა რაოდენობა დროდადრო 6-7 კაცს აღწევდა. „ტორპედოს" მრავალი იერიშებიდან შედეგიანად დამთავრდა მხოლოდ ერთი და გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ამ ანგარიშით—1:0. მეორე ტაიმში სურათი არ შეცვლილა: „ნაირი" კვლავ დაცვითი ტაქტიკით თამაშობდა. ქუთაისელებმა კიდევ ერთი ბურთი გაიტანეს და მიაღწიეს დამსახურებულ გამარჯვებას ანგარიშით 2:0.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა როსტოვისა და ბათუმის მოზარდ ფეხბურთელთა შეხვედრა. თამაში დაიწყო ურთიერთ დაზვერვით, გარდამავალი უპირატესობით. მატჩის ანგარიშია — 1:1.

**ი. შიროკოვი,**
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

* * *

**შოსტკა.** აქ გრძელდება მოზარდ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშება XV ზონის გუნდებს შორის. თბილისის საფეხბურთო სკოლის კოლექტივს მორიგი შეხვედრა ჰქონდა კიევის არმიელთა გუნდთან. ანგარიშით 3:0 გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა. კიეველთა კარში ბურთები გაიტანეს ელისაშვილმა, თალაკვაძემ და გოგლიძემ.

**გ. ბაქანიძე,**
ჩვენი სპეც. კორ.

# ამერიკელი მძლეოსნები ლენინგრადში

შაბათს, 15 ივლისს მოსკოვში დაიწყება საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა მესამე სამატჩო შეხვედრა. ამერიკელებმა საბოლოოდ დააკომპლექტეს გუნდი 48 სპორტსმენის შემადგენლობით, რომელთა შორის 17 ქალია. მათი 10 მძლეოსანი უკვე იმყოფება საბჭოთა კავშირში და კვირას მონაწილეობდა ლენინგრადში გამართულ შეჯიბრებაში.

ამერიკელმა ჯ. სელვესტრიმ ორი გამარჯვება მოიპოვა — ბირთვი ჰკრა 18 მ 17 სმ-ზე და ბადრო ტყორცნა 56 მ 29 სმ-ზე, ხოლო აშშ-ს ჩემპიონმა ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში რ. ავანტიმ დაძლია 206 სმ.

დ. დიუპრე (აშშ) დამარცხდა მ. ბულიჩევთან 800 მეტრზე რბენაში. 100 მეტრზე როგორც ვაჟთა, ისე ქალთა რბენაში ფინიშთან პირველნი იყვნენ საბჭოთა მორბენლები ს. პროხოროვსკი და მ. იტკინა. ტ. შჩელკანოვამ გაიმარჯვა ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში —6 მ. 26 სმ.

## ი. ბალაში—190 სმ

**ბუდაპეშტში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწია მსოფლიო რეკორდსმენმა ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში ი. ბალაშმა. მან დაძლია 190 სმ-ს სიმაღლეზე მდებარე თამასა და 2 სანტიმეტრით გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა და დამყარებულ იქნა ამ ორი კვირის წინ ვარშავაში.**

# ცნობები სვერდლოვსკიდან

**სვერდლოვსკი.** (ჩვენი სპეც. კორ.). თბილისის „ბურევესტნიკის" კალათბურთელ ვაჟთა გუნდს საკავშირო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა ჰქონდა რიგის ვეფ-თან, მატჩის პირველი წუთებიდანვე დაწინაურდნენ თბილისელი კალათბურთელები 13 ქულით, მაგრამ რიგელებმა შეძლეს არა მარტო ანგარიშის გაქვითვა, არამედ წინ გავიდნენ და პირველი ნახევარი მოიგეს ანგარიშით 29:27. შესვენების შემდეგ „ბურევესტნიკმა" განავითარა მაღალი ტემპი. თბილისელთა გამუდმებული იერიშების უვნებელსაყოფად რიგელებმა ვერაფერი გააწყეს და ეს საინტერესო შეხვედრა მოიგეს „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა ანგარიშით 57:55.

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკი" ეთამაშა კიევის არმიელთა გუნდს. მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. გამარჯვების შემთხვევაში თბილისელები რჩებოდნენ „ა" კლასში. შეხვედრა სტუდენტმა კალათბურთელებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 71:60.

**სურათზე:** მომენტი განვლილი მატჩიდან „დინამო" (თბილისი)-„ავანგარდი" (ხარკოვი). ავანგარდელთა მეკარე ვ. უგრაიცკი ნახტომში იღებს ბურთს.

# დინამოელებმა კვლავ კარგად ითამაშეს

გასულ შაბათს სპორტის სასახლეში შეკრებილი მაყურებლები მოუთმენლად მოელოდნენ თბილისის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკის“ კალათბურთელთა შეხვედრის დაწყებას. ეს გასაგებიც იყო. ლენინგრადის „სპარტაკთან“ შედარებით, სტუდენტთა ეს გუნდი გაცილებით ძლიერია და მოსალოდნელი იყო, რომ თამაშის დაწყებიდან საინტერესო ბრძოლა გაიმართებოდა გამარჯვების მოპოვებისათვის. ამას ისიც ადასტურებდა, რომ ლენინგრადის გუნდში თამაშობდნენ საკმაოდ ძლიერი კალათბურთელები ო. მამონტოვი, ა. ბენედიქტოვი, ო. კუტუზოვი, რომლებსაც მხარს უმშვენებდნენ ახალგაზრდები ი. ბიკოვი, ს. პრიახინი. თბილისის „დინამომ“ მატჩი დაიწყო ასეთი შემადგენლობით: გ. მინაშვილი, ვ. ალტაბაევი, ვ. უგრეხელიძე, ი. ხაზარაძე, ა. კილაძე.

შეხვედრის პირველსავე წუთებზე დინამოელებმა ისეთი ტემპი განავითარეს, რომ სტუმრები უძლურნი აღმოჩნდნენ მათი იერიშების მოსაგერიებლად. პირველი ბურთი ჩააგდო ალტაბაევმა, შემდეგ ხაზარაძემ, უგრეხელიძემ და კვლავ ალტაბაევმა. ანგარიში 9:0-მდე აიყვანეს. თამაშის პირველი ნახევრის განმავლობაში მოედანზე დომინირებდნენ დინამოელები და ანგარიშიც მათს სასარგებლოდ იზრდებოდა. შესვენებისათვის „დინამო“ წინ იყო 12 ქულით—37:25.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, ხოლო „ბურევესტნიკი“ იძულებული იყო უმთავრესად დაცვაზე ეზრუნა. მხოლოდ 30-ე წუთზე შეძლეს სტუდენტმა კალათბურთელებმა თამაშში გარდატეხის შეტანა, მათ რამდენიმე ზუსტი ტყორცნა განახორციელეს და ანგარიშში სხვაობაც 8 ქულამდე დაიყვანეს, მაგრამ ეს იყო და ეს, მეტის გაკეთება სტუმრებმა ვერ შეძლეს და დამარცხდნენ — 66:78.

თბილისის „დინამომ“ ეს მატჩიც მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გ. მინაშვილი, რომელიც საუკეთესო სპორტულ ფორმაშია და თავისი გუნდის ორ უკანასკნელ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. საერთოდ, „დინამოს“ გუნდის თამაშს ეტყობა მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ო. ქორქიას ხელი.

სასიამოვნოა, რომ ამჟამად გუნდი თამაშობს ტაქტიკურად სწორად, მოთამაშეთა შეცვლა ხდება დროულად, წუთშესვენებათა აღება საჭიროებისდა მიხედვით. ყველაფერი ეს იმედს გვაძლევს, რომ თბილისის „დინამო“ ასევე მაღალ დონეზე ჩაატარებს დანარჩენ კალენდარულ მატჩებსაც.

**ზ. ნადიბაიძე**

**სურათზე:** თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ვ. უგრეხელიძე მაღალ ნახტომში მოწინააღმდეგის ფართან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# გამოვლინდნენ ფინალისტები

რსფსრ-სა და საქართველოს რესპუბლიკების ჩემპიონთა „დუელით“ დაიწყო საბჭოთა კავშირის ზონალური შეჯიბრების ფინალური შეხვედრები ჩოგბურთში. ბათუმის „სპარტაკის“ კორტებზე ერთმანეთის პირისპირ დადგნენ ვ. ტრომკინა და რ. აბჟანდაძე.

ბურთი პირველი დარტყმებიდან თანავე გაირკვა რუსი ოსტატის ჩანაფიქრი. მას სურდა გრძელი კუთხური დარტყმებით გამოეფიტა მოწინააღმდეგის ძალები. მან მატჩის დასაწყისში მიაღწია კიდეც საწადელს, მაგრამ რ. აბჟანდაძემ დროულად ამოხსნა მეტოქის ტაქტიკური ამოცანა და ბურთის ხელში ჩაგდებისთანავე შეტევაზე გადავიდა. ანგარიშის გათანაბრების (3:3) შემდეგ მან კიდევ უფრო გაბედულად შეუტია მოწინააღმდეგეს და პარტია თავის სასარგებლოდ დაამთავრა — 6:4.

მეორე პარტიაშიც იგივე სურათი განმეორდა: ანგარიშის გათანაბრების (4:4) შემდეგ აბჟანდაძე ბადესთან გადის და საბოლოოდ გამარჯვებას აღწევს—2:0 (6:4, 6:4).

კიდევ უფრო საინტერესო ბრძოლა გაიმართა საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონ მ. მოზერსა და თბილისელ სპორტის ოსტატ გ. ლარიბაშვილს შორის. პირველი გეიმი ქართველმა სპორტსმენმა მოიგო, მეორე—უკრაინელმა. ამის შემდეგ ინიციატივამ მთლიანად თბილისელის მხარეს გადაინაცვლა და ზედიზედ ხუთი გეიმის მოგებით პირველი პარტიის ბედი მის სასარგებლოდ გადაწყდა — 6:1.

მეორე პარტია კვლავ ლარიბაშვილის შეტევით დაიწყო. მან მთლიანად უარყო თამაში მხოლოდ მოწინააღმდეგის შეცდომებზე და მოედნის ბატონ-პატრონი გახდა. მოზერი დაიბნა, მისი დარტყმული ბურთები სულ უფრო და უფრო ხშირად მოედნის ხაზის იქით ეცემოდა. ლარიბაშვილმა ეს პარტია „მშრალი“ ანგარიშით მოიგო—6:0.

დაძაბულობამ ზენიტს მიაღწია მესამე პარტიაში. თვითეული გეიმი მთავრდებოდა მიმწოდებელი მოთამაშის გამარჯვებით. ასე გაგრძელდა 3:3-მდე. აქ ლარიბაშვილმა შეძლო ერთი მეტად მნიშვნელოვანი გეიმის მოგება მოზერის ბურთის მიწოდების დროს და თამაშიც „გადატყდა“. ლარიბაშვილი უკვე თამამად გადის ბადესთან და მოკლე, მკვეთრი დარტყმებით ქულას ქულაზე იღებს. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წინააღმდეგობა შესუსტდა და ჩვენი ქვეყნის ჩოგბურთელთა [illegible] ლარიბაშვილმა ამ მატჩში პირველი [illegible] გამარჯვებით მნიშვნელოვნად შეალამაზა თავისი სპორტული ბიოგრაფია.

მესამე ადგილზე გამოვიდა ნ. ოზეროვი. წარმატება ხვდა ა. გოგლიძესაც, რომელმაც ადვილად დაამარცხა აზერბაიჯანის ჩემპიონი ო. სპირიდონოვი და მეხუთე ადგილზე გამოვიდა. ეს ჩოგბურთელები მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა კავშირის ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც კალინინგრადში გაიმართება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებაში მეშვიდე ადგილზე გამოსულმა თბილისელმა პ. მეტრეველმა საერთო აღიარება დაიმსახურა ნაირფეროვანი და მაღალტექნიკური თამაშით, რისთვისაც მსაჯთა კოლეგიამ შუამდგომლობა აღძრა ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის წინაშე ფინალურ შეჯიბრებაზე მისი პერსონალურად დაშვებისათვის.

**პ. კანდელაკი,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**





## რადიოსპორტი

# ტექნიკურ სახეობებში

სულ მალე შეჯამდება დოსააფ-ის რესპუბლიკური სპარტაკიადის შედეგები, გამოვლინდება გამარჯვებული კომპლექსურ ჩათვლაში, აგრეთვე უძლიერესი კოლექტივები, რომლებმაც უნდა დაიცვან საქართველოს სპორტული ღირსება სპორტის ტექნიკურ სახეობათა საკავშირო სპარტაკიადაზე. შედეგები უკვე შეჯამდა რადიო-სპორტის, მოტოსპორტის, ტყვიით სროლის, საპლანერო და საპარაშუტო სპორტის სახეობებში.

თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და სოხუმის 23 სპორტსმენი ჩაება რადისტთა შეჯიბრებაში. რადიოგრამების მიღებასა და ხელით ჩაწერაზე შეჯიბრებაში აშკარა იყო თბილისის გუნდის წევრის მ. სადუკოვის უპირატესობა. მან ხელშემშლელ პირობებში შესძლო წუთში 130 ნიშნის მიღება, იგივე შედეგი გაიმეორა ნორმალურ პირობებში, ხოლო ციფრიანი რადიოგრამების მიღების დროს ეს რიცხვი კიდევ 50-ით გაიზარდა.

რადიოგრამის მანქანებზე მიღებაში თბილისელთაგან არავინ მოხვედრილა პრიზიორთა შორის. სამაგიეროდ, ბათუმელმა სპორტსმენებმა ვ. რუდიაგამ, ვ. ვლადიმიროვამ და სოხუმელმა ო. პოლუეტკოვმა ცხადყვეს თავიანთი კარგი მომზადება.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა რადიომოყვარულებმა.

# პირველი მატჩები

გასულ კვირას თბილისში დაიწყო საქართველოს პირველობა წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის (4), აჭარისა და ქუთაისის გუნდები. საქართველოს პირველობის მუდმივმა მონაწილემ აფხაზეთის გუნდმა შეჯიბრებას რატომღაც თავი აარიდა.

ჩემპიონატი უმთავრესად მეორე ადგილის მოსაპოვებლად მიმდინარეობს, რადგან ასპარეზობაში მონაწილე თბილისის „დინამოსა“ და დანარჩენ მონაწილეებს შორის ძალთა სხვაობა ძალზე დიდია.

დინამოელთა შეხვედრა მოწინააღმდეგეებთან ვარჯიშის სახეს ატარებს. მისი პირველი „მსხვერპლნი“ იყვნენ ქუთაისისა და განათლების სამინისტროს სკოლების ნაკრები გუნდები, რომლებიც დამარცხდნენ მშრალი ანგარიშით. ქუთაისელებმა წააგეს 0:11, ხოლო მოსწავლეებმა — 0:12.

პირველი დღის შეჯიბრებიდან აღსანიშნავია განათლების სამინისტროს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის თავგამოდებული თამაში, რომელმაც თანაბარ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით (1:2) წააგო მეორე ადგილის მთავარ პრეტენდენტთან — თბილისის „განთიადის“ გუნდთან.

შეჯიბრების მეორე დღეს საინტერესო იყო აჭარისა და ქუთაისის გუნდების თამაში. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის გუნდი სრულიად არა ჰგავს გასულ წელს საქართველოს პირველობაში მონაწილე კოლექტივს. ქუთაისელებმა ამჯერად ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს აჭარელ წყალბურთელებს. მამჩინის მიერ შეხვედრის დაწყებისთანავე გატანილ ბურთს ქუთაისელმა კაკოვიჩმა ზუსტი ტყორცნით უპასუხა და ანგარიში გაქვითა. მეორე პერიოდში ბათუმელები მხოლოდ ერთი ბურთით დაწინაურდნენ, რასაც მოჰყვა მეოთხე პერიოდში კაკოვიჩის 4-მეტრიანი საჯარიმოდან ორჯერ შესრულებული ზუსტი ტყორცნა და ანგარიში გათანაბრდა.

შეხვედრის ბოლო წუთებში ქუთაისელებს დაღლა დაეტყოთ, რითაც კარგად ისარგებლეს ვოზაკოვმა და მესხმა და თითო ბურთი გაიტანეს. შეხვედრა მოიგო აჭარის გუნდმა — 5:3.

ძლიერად ჩაატარა შეჯიბრება „განთიადის“ გუნდმა „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ და გაიმარჯვა — 7:0. ამ გამარჯვებით „განთიადმა“ საგრძნობლად განიმტკიცა მეორე საპრიზო ადგილისათვის ბრძოლის მდგომარეობა.

შეჯიბრება გრძელდება...

**ა. ბარნოვი**

## ტყვიით სროლა

80 ოსტატი და პირველთანრიგოსანი გამოვიდა ავჭალის სასროლეთზე გამართულ ტყვიით მსროლელთა შეჯიბრებაში. მათგან მხოლოდ 14-მა დაამტკიცა პირველი თანრიგი მაშინ, როცა გამარჯვებისათვის იბრძოდა თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის და სხვათა არა ერთი ისეთი მსროლელი, რომლებიც რესპუბლიკურ ნაკრებში შედიან. მართალია, მათ მოიპოვეს სპარტაკიადაში გამარჯვებულის სახელი, მაგრამ ნაჩვენები შედეგების უმრავლესობა დაბალია.

პროგრამაში იყო რამდენიმე ვარჯიში, რომელიც საკავშირო შეჯიბრებებზე არ არის დანერგილი, მაგრამ საკმაო გამოყენებითი ხასიათისანი არიან, მაგალითად, სროლა მოძრავ სილუეტზე, სადაც გაიმარჯვა თბილისელმა ნ. ქონიაშვილმა, ან საბრძოლო შაშხანიდან სროლა აცილებამდე, როცა სპორტსმენს ყოველ გასროლისათვის 5 წამი ეძლევა. აქ თავი ისახელა თბილისელმა ოსტატმა შ. მოსიაშვილმა, რომელმაც 97 ტყვია მოახვედრა სამიზნეს ზედიზედ და 817 ქულა მოაგროვა.

აჭარის გუნდის წევრმა დ. ბაჯელიძემ არავის დაუთმო პირველობა „ირემზე“ სროლაში, ხოლო მისმა თანაგუნდელებმა ვ. კრასნოპოლსკიმ და ი. იოფისმა კიდევ ორი გამარჯვება მოუტანეს თავიანთ კოლექტივს, როცა პირველმა გაიმარჯვა ნებისმიერი საბრძოლო, ხოლო მეორემ — მცირეკალიბრიან შაშხანიდან სტანდარტზე სროლაში.

ქულათა ყველაზე მეტი რაოდენობა მოაგროვა თბილისელმა [illegible] ორჯონიკიძემ, მან მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მეტრზე სროლაში 571 ქულა დააგროვა. სილუეტებზე და მრგვალ სამიზნეებზე სროლაში მისმა თანაგუნდელმა [illegible] პროზოროვმა გაიმარჯვა. მან მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში დააგროვა 57[illegible], ხოლო ნაგანით სროლაში — 5[illegible] ქულა.

* * *

**პლანერისტთა შეჯიბრება [illegible]ტარდა ბოლნისში და დამთავრ[illegible] თბილისის გუნდის გამარჯვები[illegible]**

**სურათებზე:** მარცხნივ — [illegible] ფილიევი და მ. გურული თვა[illegible] ადევნებენ შეჯიბრებას. მარჯვ[illegible] — პირველობის მონაწილენი საფრენად ამზადებენ რადიომარ[illegible]ვის მოდელს.

ფოტოები ი. გაბრიელიანის[illegible]

სპარტაკიადა

# კვირას დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე დაიწყო პროფკავშირების III რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყალში ხტომაში უკვე გამოვლინდნენ სპარტაკიადის ჩემპიონები. ამ სურათზე აღბეჭდილია ერთ-ერთი მათგანი — დ. კინწურაშვილი, რომელმაც ტრამპლინიდან ხტომაში გაიმარჯვა.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## პირველი დღის შედეგები

მძლეოსნებმა შეჯიბრების პირველ დღეს ვერაფრით გაახარეს გულშემატკივრები, დამთავრებული 11 სახეობიდან I თანრიგის მხოლოდ რამდენიმე შედეგი იქნა ნაჩვენები, რაც გამოწვეული იყო მონაწილეთა სიმცირითაც. სულ ორი მორბენალი გამოვიდა 400 მეტრზე თარჯრბენსა და 10,000 მეტრზე რბენაში და აქაც არ იგრძნობოდა მაღალი შედეგის ჩვენების ცდა, ვინაიდან მონაწილეებს მაინც განაღდებული ჰქონდათ საპრიზო ადგილები. გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდა შედეგები ფინალურ შეხვედრებში და ა. შ.

ასე იყო ქალთა შორის 100 მ რბენაში. წინასწარ გარბენში სპარტაკელ მ. პაპიაშვილს ჰქონდა 12,4 წამი, ფინალში კი ეს შედეგი 0,3 წამით გაუარესდა. 10,8 წამს არ გაცილებია ვაჟთა შორის გამარჯვებულ ლ. ანთაძის („ლოკომოტივი") შედეგიც.

12 მონაწილიდან მხოლოდ ორი ვაჟი გამოვიდა 2-წუთიანი ზღვარიდან 800 მეტრზე რბენაში: პ. რუკინი („ბურევესტნიკი") და რ. ალავიძე (ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა), რომლებმაც შესაბამისად აჩვენეს 1.58,7 და 1.59,8. თავიანთ შესაძლებლობაზე გაცილებით დაბალი შედეგები აჩვენეს სხვებმაც. ასე, მაგალითად, რესპუბლიკის რეკორდსმენმა ვაჟთა შორის ბადროს ტყორცნაში გ. ჩადუნელმა („ლოკომოტივი") საუკეთესო ცდაზე აჩვენა 47,50 მ.

ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში ჯერ კიდევ შორსაა თავისი საუკეთესო მაჩვენებლიდან (6,25 მ) ლ. იევლევა (სახელმწიფო უნივერსიტეტი). მან წინასწარ შეჯიბრებებზე ნაჩვენები შედეგით—5,69 მ შეძლო გამარჯვების მოპოვება, სამაგიეროდ, ვაჟთა შორის კვლავ მიუწვდომელი აღმოჩნდა მისი თანაგუნდელი რ. ქვაჩაკიძე — 7,30 მ.

ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში წარმატებას მიაღწია ბურევესტნიკელმა ლ. პატარიძემ, რომელმაც დაძლია 1 მ 65 სმ და შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა.

## ტანვარჯიშულ იარაღებთან

ფაქტიურად ორი დიდი შეჯიბრების ერთდროულად ჩატარების ასპარეზად იქცა ბავშვთა ცენტრალური სპორტული სკოლის დარბაზი. საქართველოს პირად-გუნდური პირველობის (უწყებათა შორის) პარალელურად აქ მიმდინარეობს პროფკავშირების III რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებაც.

ამ გარემოებამ თავიდანვე დამუხტა საბრძოლო ატმოსფერო და მონაწილეთა სიმრავლის გამო პირველობის ძირითადი პრეტენდენტები დაუსწრებლად (პირველთანრიგოსანი გოგონები ორ ცვლად მონაწილეობდნენ შეჯიბრებაში) ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

სავალდებულო პროგრამის ვარჯიშების შესრულების დროს ლიდერთა ჯგუფში იმდენად თანაბარი ძალის სპორტსმენები მოგროვდნენ, რომ ოთხჭიდის ჯამში მ. ლომსაძემ (განათლების განყოფილება) მხოლოდ ერთი მეათედი ქულით გაუსწრო თანაგუნდელ ე. მუკნიაშვილს (გორი) და ლოკომოტიველ ც. ჭკადუას (სამტრედია). ლიდერის შედეგია 35,7 ქულა.

თუ შარშან სავალდებულო პროგრამით გათვალისწინებულ ვარჯიშების ჯამსა და თვითეულ სახეობაში ოსტატთა შორის აბსოლუტური უპირატესობა ჰქონდა დინამოელ მ. ნინოშვილს, ამჯერად მისი და სხვა გამოცდილი ოსტატების პოზიციები საგრძნობლად შეარყია 16 წლის დ. ჯანუყაშვილმა (განათლების განყოფილება). ნიჭიერმა სპორტსმენმა მაღალ სპორტულ დონეზე შეასრულა ყველა ვარჯიში. მხოლოდ თავისუფალ ვარჯიშში შეძლო მ. ნინოშვილმა 0,1 ქულით გაესწრო მისთვის, მაგრამ ხტომებში წარუმატებლად გამოსვლამ (8,4 ქულა) საგრძნობლად შეუმცირა მ. ნინოშვილს საქართველოს ჩემპიონობისათვის ბრძოლის შანსი.

სავალდებულო ოთხჭიდის ჯამში დ. ჯანუყაშვილს 37,15 ქულა აქვს, მ. ნინოშვილს — 36,05 ქულა და მ. ცნობილაძეს — 35,75 ქულა.

შეჯიბრება გრძელდება.

## ლიდერობენ განთიადელები

ბრძოლაში ჩაებნენ შტანგისტები, გამოვლინდა პირველი გამარჯვებული. მჩატე წონაში სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვა განთიადელმა ლ. მარტიროსიანმა, რომელმაც სამჭიდში 257,5 კგ დააგროვა, მაგრამ ისე, როგორც ზ. ყიფშიძე („სპარტაკი"), რომელმაც ასეთივე შედეგი აჩვენა, ვერ შევიდა გუნდურ ჩათვლაში, რადგან ვერ შეასრულა პირველი თანრიგი.

ქვემსუბუქ წონაში უძლიერესი იყო ი. წოწოლაშვილი („განთიადი") მისი შედეგია 302,5 კილოგრამი. პირველი დღის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ „განთიადის" შტანგისტები. ფიზკულტურელ კოლექტივებს შორის წინ არიან სპორტკლუბ „გამარჯვების" სპორტსმენები.

△

## ოსტატთა უპირატესობით

გათამაშდა ველოსიპედისტთა პირველი სტარტი. ვაჟთა შორის 50 კილომეტრზე რბოლაში ყველაზე კარგი შედეგი — 1:18.40 აჩვენა ლოკომოტიველმა სპორტის ოსტატმა ს. კვინიკაძემ და გაიმარჯვა. ქალთა რბოლა 20 კილომეტრზე დამთავრდა ბათუმელი სპორტის ოსტატის ვ. იურკინას („განთიადი") გამარჯვებით — 33 წუთი 10 წამი.

△

## ორ ხალიჩაზე

შეხვედრები თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში ერთდროულად მიმდინარეობდა ლენინის სახ. დარბაზში გაშლილ ორ ხალიჩაზე. თავისუფალ ჭიდაობაში პირველ დღეს ბრძოლებში არ მიუღიათ მონაწილეობა ისეთ გამოცდილ სპორტსმენებს, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონი ვ. რუბაშვილი, გ. სღარაძე, გ. გობეჯიშვილი, რამაც ერთგვარად შეანელა ინტერესი, მაგრამ შეხვედრები მაინც დაძაბულად ჩატარდა. ქვესაშუალო წონაში ზ. ბერიაშვილმა („ბურევესტნიკი") მცირე უპირატესობით სძლია განთიადელ ზ. მეშველიანს. მჩატე წონაში ა. შეყრილაძემ („განთიადი") ქულებით დაამარცხა ქუთაისელი, მნაცაკანიანი („სპარტაკი").

▽

## რეკორდსმენის მონაწილეობით

ორთაჭალის აუზი დაეთმო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეხვედრებს ცურვაში, პირველ დღეს გამარჯვებულები გამოვლინდა ხუთ სახეობაში. ქალთა შორის 100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში ფინიშზე პირველი იყო სპორტკლუბ „გამარჯვების" გუნდის წევრი მ. ბერია, ვაჟთა შორის ამავე სტილით, ამავე დისტანციაზე სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სპორტის ოსტატი ი. ბინიუკოვი, ხოლო 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ვაჟთა შორის ყველაზე კარგი შედეგი ჰქონდა ბურევესტნიკელ ე. ვეკუას.

ორი გამარჯვებული გამოავლინა 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვამ. ქალებში თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის გუნდის წევრმა ა. კოჩერტკოვამ უკან ჩამოიტოვა ყველა კონკურენტი და პირველობა მოიპოვა, ვაჟთა შორის კონკურენციის გარეშე იყო საბჭოთა კავშირის რეკორდსმენი სპარტაკელი ი. ფუნიკოვი, რომელმაც დიდი უპირატესობით დაამარცხა მოწინააღმდეგენი.

**გაზეთ „ლელოს" ბრიგადა.**

**სურათზე:** 200 მეტრზე ბრასის სტილით ვაჟთა შორის გამარჯვებული ი. ფუნიკოვი დისტანციაზე.

თბილისის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში მიმდინარეობს III პროფკავშირული სპარტაკიადით გათვალისწინებული შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში.

**სურათზე:** სპარტაკელ ლ. ნადირაშვილისა და ლოკომოტიველ მ. ბარნაბიშვილის შეხვედრა.

ფოტო უ. მოსესოვისა.

## რინგის კვადრატზე

განთიადელი ა. დაპაჩოვისა და სპარტაკელი პ. ჩაინიკოვის შეხვედრით დაიწყო საქართველოს პროფკავშირების III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კრივში.

„სპარტაკის" წარმომადგენელი უდავოდ მოუმზადებელი აღმოჩნდა ამ შეჯიბრებისათვის. მისი უტაქტიკო და ულამაზოდ წარმართული ბრძოლა პირველივე რაუნდიდან არ იწვევდა ეჭვს საბოლოო შედეგში. ასეც მოხდა. ა. დაპაჩოვმა პირველი გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს.

სპორტის ოსტატების ლ. მნაცაკანოვისა („ბურევესტნიკი") და ნ. ქიქავას („განთიადი") შეხვედრის დროს მაყურებელმა იხილა ნამდვილი, მაღალტექნიკური კრივი. დაძაბული ბრძოლა ნ. ქიქავას სასარგებლოდ დამთავრდა.

საქართველოს ჩემპიონმა ქვემსუბუქ წონაში სპარტაკელმა ს. ჩოტულიდიმ მხოლოდ ძალთა უკიდურესი დაძაბვით შეძლო მეტად აქტიური ლ. მანუკიანის („განთიადი") დამარცხება.

მომდევნო წონის მოკრივეების— განთიადელი მ. ხეფიაშვილისა და სპარტაკელი კ. ჩაგულოვის შეხვედრის პირველ რაუნდს მნიშვნელოვანი უპირატესობა არც ერთი სპორტსმენისათვის არ მოუტანია. მეორე რაუნდში კი შეხვედრის არბიტრმა შ. გორგასლიძემ ბრძოლა შეწყვიტა და გამარჯვების ნიშნად ხელი აუწია კ. ჩაგულოვს.

პირველ და მეორე ქვესაშუალო წონებში, როგორც მოსალოდნელი იყო ადვილად გაიმარჯვეს სპორტის ოსტატმა ზ. კოზაევმა („სპარტაკი") და ო. ზებულაშვილმა („ბურევესტნიკი").

პირველ საშუალო წონაში განთიადელმა მ. აბულაძემ დაამარცხა ბურევესტნიკელი თ. კუპავა. კარგი ტექნიკური ბრძოლა ჰქონდათ ი. იალოვნიჩს („განთიადი") და ა. მოვსესიანს („სპარტაკი"). გაიმარჯვა უკანასკნელმა.

ქვემძიმე წონის მოკრივეების ვ. სილაგაძისა („სპარტაკი") და ა. ფროლოვის („ბურევესტნიკი") შეხვედრის დროს სპარტაკელმა წარბი დაიზიანა და გამარჯვება მის მოწინააღმდეგეს მიენიჭა.

მძიმე წონის მოკრივეების რ. კოჩიევისა („განთიადი") და ნ. ამაშუკელის („ბურევესტნიკი") შეხვედრა ამაშუკელის სასარგებლოდ დამთავრდა.

## მეტი საჭადრაკო ლიტერატურა

### წერილი რედაქციას

# ქართულ ენაზე

ქართული საჭადრაკო ლიტერატურა ღარიბია, ვინაიდან ორიოდე გადმოქართულებული და ამდენივე ორიგინალური საჭადრაკო წიგნის მეტი არა გვაჩნია რა.

თარგმნილი საჭადრაკო ლიტერატურიდან აღსანიშნავია მ. ეივეს „ჭადრაკის ლექციების კურსი“, ხ. კაპაბლანკასი და ე. ლასკერის სახელმძღვანელოები, რომლებმაც გარკვეული როლი ითამაშეს ჩვენში ჭადრაკის პოპულარიზაციისა და კვალიფიციურ მოჭადრაკეთა მომზადების საქმეში. კარგი სამსახური გაუწია აგრეთვე ჭადრაკის მოყვარულებს ა. ფირცხალავას წიგნმა „ბოტვინიკ-ბრონშტეინის მატჩი“, გ. ნადარეიშვილის „საჭადრაკო ეტიუდები“ და გ. მახარაძის „ჭადრაკი და გამოჩენილი ადამიანები“. აი თითქმის სრული სია იმ წიგნებისა, რომელიც ჩვენ ქართულ ენაზე მოგვეპოვება.

შეიძლება ვინმე შემოგვედავოს, რომ ვისაც ჭადრაკის მწვერვალების დაუფლება სურს, მან კიდეც უნდა შეისწავლოს რუსული ენა (რუსულად ხომ მდიდარი საჭადრაკო ლიტერატურა არსებობს). მაგრამ როცა ჩვენ ვაყენებთ ქართულ ენაზე საჭადრაკო წიგნების თარგმნის საკითხს, მხედველობაში გვაქვს არა მარტო მაღალკვალიფიციურ მოჭადრაკეთა მომზადება, არამედ ჭადრაკის მასობრიობა, რომელიც საბოლოო ანგარიშით მნიშვნელოვნად წინ სწევს ჭადრაკის განვითარების საქმეს.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველ მოჭადრაკე ქალთა დამაკმაყოფილებელ გამოსვლებს საერთაშორისო და საკავშირო სარბიელზე, ყველასათვის ცხადია, რომ საქართველოში ჭადრაკის განვითარების საერთო დონე დაბალია. ამას ამტკიცებს როგორც პირადი, ისე გუნდური პირველობები, სადაც სერიოზული ჩავარდნები გვაქვს.

ამიტომ საქართველოში ჭადრაკის განვითარების პერსპექტივები და უახლოესი ამოცანები გვავალებს ძირეულად შევცვალოთ ის მდგომარეობა, რომელიც საჭადრაკო ლიტერატურის თარგმნისა და ორიგინალური ნაშრომების შექმნის საქმეში გვაქვს. ამიტომ მართებული იქნება რესპუბლიკურმა საჭადრაკო ფედერაციამ გამოჰყოს მთარგმნელთა სპეციალური ჯგუფი, რომელიც ხელში აიღებს ამ საქმეს და უხელმძღვანელებს მას. არანაკლებ საჭიროა საქართველოს საჭადრაკო წარსულის თავმოყრა და სისტემატიზაცია საქართველოს ჭადრაკის ისტორიის სახით. ჩვენის აზრით, წიგნში უნდა იქნას განხილული ჭადრაკის წარმოშობის პერიოდი საქართველოში, საჭადრაკო წარსული და დღევანდელი საჭადრაკო ცხოვრება იმ მდიდარი მასალის საფუძველზე, რომელიც მოგვეპოვება, ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი ბიოგრაფიები და ა. შ.

**ჯ. ბიბინეიშვილი**



## „ფოლკსშტიმე“ ავსტრიის გუნდების შესახებ

ვენის გაზეთი „ესტერრაიხიშე ფოლკსშტიმე“ ათავსებს თავისი მიმომხილველის წერილს ავსტრიის ფეხბურთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. მაშინ, როდესაც ეროვნული ნაკრები წარმატებას წარმატებაზე აღწევს, საკლუბო გუნდები სულ უფრო და უფრო მარცხიანად მონაწილეობენ საერთაშორისო შეჯიბრებებში. ავსტრიის ჩემპიონი „ავსტრია“ დაბალი შედეგებით მონაწილეობს ევროპის თასის გათამაშებაში, ხოლო „ვინერ ნეიშტადტმა“ ამავე თასის გათამაშებაში ერთ-ერთ ქვეჯგუფში უკანასკნელი ადგილი დაიკავა. „მონაკოსთან“ დამარცხებით (2:3) დაიწყო ნიუ-იორკის დიდი საერთაშორისო ტურნირი ავსტრიის მრავალგზის ჩემპიონმა „რაპიდმა“. „რაპანის თასში“ მონაწილე გუნდებიდან მარცხს მარცხზე განიცდიან ავსტრიის ორგზის ჩემპიონი „ვინერ შპორტკლუბი“, „ვინერ ატლეტიკ კლუბი“ და გრაცის „ატლეტიკ კლუბი“. ერთადერთი გამონაკლისია ამავე თასის მონაწილე „ვიენა“, რომელიც ლიდერობს თავის ქვეჯგუფში.

ამ მარცხის მიზეზად მიმომხილველს მიაჩნია ავსტრიის ფეხბურთის მესვეურების გატაცება ფინანსური ოპერაციებით. „ყოველივე ეს,—დაასკვნის გაზეთი,—ჩრდილს აყენებს ავსტრიის ფეხბურთის სახელოვან ტრადიციებს“. მიმომხილველი მოუწოდებს ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციას წინ აღუდგეს საკლუბო გუნდების ხშირ საერთაშორისო მატჩებს.

## ფეხბურთის ახალი ამბები



ეროვნული ბიბლიოთეკა

აფრიკა—სპორტში დიდი მომავლის მქონე ქვეყანაა.

სურათზე: გერმანელი მწვრთნელი გიუნტერ ლოიდერტი ავარჯიშებს მალის რესპუბლიკის ჭაბუკ კალათბურთელებს.

## გ. ბაქშეევა — უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული

უიმბლდონში დამთავრდა მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი. მოზარდთა შეჯიბრებაში დიდ წარმატებას მიაღწია 15 წლის კიეველმა მოსწავლემ გ. ბაქშეევამ, რომელმაც ფინალში ანგარიშით 2:0 (6:4, 8:6) დაამარცხა ამერიკელი შაბოტი და მოიპოვა პირველი ადგილი.

## არმიელთა მარცხი

გასულ კვირას მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალი ფრენბურთში, ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა-სა და ბუქარესტის „რაპიდის“ ვაჟთა გუნდები.

სტუმრებმა დიდი მონდომებით ჩაატარეს თამაში და გაიმარჯვეს— 3:1. განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ბუქარესტში. თასის შესანარჩუნებლად არმიელებს დასჭირდებათ მხოლოდ „მშრალი“ ანგარიშით (3:0) გამარჯვება.

## ახალი შევსება

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის პრიზიორს — „მილანს“, სადაც თამაშობენ შვეციის ნაკრების კაპიტანი ლიდჰოლმი და ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ცენტრფორვარდი მაცოლა, ახალი შევსება ჩამოუვიდა. ესაა ინგლისის პირველი ლიგის ყველაზე უფრო შედეგიანი თავდამსხმელი გრივსი, რომელიც აქამდე ლონდონის „ჩელსში“ თამაშობდა, ხოლო „ინტერნაციონალემ“ სულ ახლახან იყიდა თავდამსხმელი ჰიტჩენსი (ბირმინჰამის „ასტონ ვილა“). ამგვარად ინგლისის ნაკრების ორი „სნაიპერი“ მილანის კლუბებში აღმოჩნდა.

გაცხოველებული მზადება გააჩაღეს „პალერმომ“, „ვენეციამ“ და „მანტუამ“, რომლებიც წელს გადმოვიდნენ პირველ ლიგაში. „პალერმომ“ „ბარსელონასაგან“ შეიძინა ციბორი, ხოლო „ვენეცია“ მოლაპარაკებას აწარმოებს ავსტრიის ნაკრების კაპიტან ჰანაპისთან.

## რეკორდი გადაარჩინა შეცდომამ

ჰელსინკში დამთავრდა მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსანთა შეჯიბრება 30 ქვეყნის 150 სპორტსმენის მონაწილეობით. ცუდი ამინდი — წვიმა და დაბალი ტემპერატურა სპორტსმენებს არ აძლევდა მაღალი შედეგების ჩვენების საშუალებას. მიუხედავად ამისა, მხოლოდ შემთხვევითობამ „გადაარჩინა“ გაუმჯობესებას ვ. კუცის მსოფლიო რეკორდი 5.000 მ რბენაში.

ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ახალზელანდიელმა მ. ჰელბერგმა სტარტიდანვე შესანიშნავი ტემპი განავითარა. იგი ყოველ წრეს გადიოდა ისეთ ტემპში, რომ საფრთხეში აყენებდა მსოფლიო რეკორდს და 150 მეტრით გაასწრო ყველა მოწინააღმდეგეს, მაგრამ... ჰელბერგმა დაუშვა „საბედისწერო“ შეცდომა, აერია წრეთა სათვალავი, ფინიშამდე 400 მეტრზე შეწყვიტა რბენა და რეკორდის დამყარებაში დარწმუნებული ესალმებოდა მაყურებლებს, როცა შეამჩნია, რომ ჩამორჩენილნი წამოეწიენ და განაგრძეს რბენა, მაშინღა მიხვდა, რომ მას გასავლელი ჰქონდა კიდევ ერთი წრე. კვლავ ჩაება ბრძოლაში და დაზარალების მიუხედავად, მაინც გაიმარჯვა — 13.57,4. გ. პირის (ინგლისი) შედეგია — 14.02,2.

სიმაღლეზე ხტომაში გაიმარჯვა აშშ-ს ჩემპიონმა რ. ავანტიმ, რომელმაც 210 სმ დაძლია და 15 სანტიმეტრით აჯობა თავის კონკურენტებს. პოლონელი ი. შმიდტი პირველი იყო სიგრძეზე ხტომაში — 7.66 მ, 400 მ რბენაში ინგლისელმა რ. ბრაიტუელმა აჯობა უ. უილიამსსა და ა. პლამერას (ორივე აშშ-დან) — 46,6. საბჭოთა სპორტსმენი ვ. არხიპჩუკი მეექვსე იყო.

რედაქტორი **ი. უგულავა.**


**15-16 ივლისი**

საერთაშორისო შეხვედრა
**ჩეხოსლოვაკია — საქართველო**
დასაწყისი 19 საათზე.

**18 ივლისი**

საერთაშორისო შეხვედრა
**აშშ (ნაკრები) — სსრკ (ნაკრები)**
დასაწყისი 19 საათზე.

„ბურევესტნიკის“ სტადიონი
**დ ღ ე ს!**

საერთაშორისო შეხვედრა
**„ვინერ ნეიშტადტი“ (ავსტრია) — „დინამო“ (თბილისი)**
დასაწყისი 18 ს. 45 წ.



**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლა** ა. წ. 10 ივლისიდან ზაფხულის პერიოდში ქალაქად დარჩენილი ბავშვებისათვის ხსნის ჯგუფებს ცურვაში. მსურველებს შეუძლიათ ჩაეწერონ განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლაში (ორჯონიკიძის ქ. № 52-ა) და ფიზკულტურელის პარკში (სტალინის სახ. სანაპირო № 1), მწვრთნელებთან რ. ცომაიასთან და ლ. ფაჩულიასთან.

**განათლების სამინისტროს სასპორტო სკოლა.**



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12.
დეპეშებისათვის — თბილისი „ლელო“ ტელეფონები: რედაქტორის — 3-59-62, პასუხისმგებელი მდივნის და განყოფილებების — 3-90-31, გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 0106